



12888-17-1-2-201911291543

N 17-1/12888



29/11/2019

საქართველოს პრემიერ-მინისტრს,
ბატონ გიორგი გახარიას

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრს,
ბატონ მიხეილ ჩხენკელს

წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა

საქართველოს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვდომილობის დღესასწაულთან დაკავშირებით, საჯარო სკოლების მასწავლებლებისთვის სალექციო ციკლის ორგანიზებისა და ჩატარების თაობაზე

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო გიორგი,
ბატონო მიხეილ,

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა 2019 წლის 17 ივნისის N7916/19 ოქმის საფუძველზე შეისწავლა საქართველოს მთავრობის განკარგულებების შესაბამისად, საქართველოს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვდომილობის დღესასწაულთან დაკავშირებით, საჯარო სკოლების მასწავლებლებისთვის დაგეგმილი სალექციო ციკლის ორგანიზებისა და ჩატარების პროცესის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან.¹

სახალხო დამცველის აპარატის მიერ საქმის გარემოებათა სრულყოფილად შესწავლის შედეგად, გამოიკვეთა, რომ საქართველოს მთავრობისა და განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ღონისძიებათა დაგეგმვის პროცესი არ შეესაბამებოდა რელიგიური

¹ „საქართველოს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის წილხვდომილობის დღესასწაულთან დაკავშირებით დაგეგმილი ღონისძიებების სამოქმედო გეგმის მოწონების შესახებ, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 03 მაისის N1031 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N 1256 განკარგულებით დამტკიცებული დანართი. ასევე, იხ. „საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2019 წლის 03 მაისის N1028 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N1260 განკარგულება.

გაერთიანებისგან საჯარო სკოლის გამიჯვნის კანონისმიერ პრინციპს. ამასთან, მათი ჩატარება, სასწავლო პროცესში რელიგიური ინდოქტრინაციისა და პროზელიტიზმის რისკს ქმნის.

ფაქტობრივი გარემოებები:

საქართველოს მთავრობის განკარგულებების შესაბამისად, მთავრობის სარეზერვო ფონდის გამოყენებით დაგეგმილ საჯარო ლექციებში თემაზე - „რელიგიის ისტორია“, მონაწილეებად განსაზღვრული იყვნენ საჯარო სკოლების ისტორიის, ქართული ენისა და ლიტერატურისა და სხვა მასწავლებლები.²

2019 წლის 3 ივნისს, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ (შემდგომში - სამინისტრო), „საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან არსებულ ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრთან“ (შემდგომში - ცენტრი), დადო მომსახურების ხელშეკრულება N06-75/2/-1, რომლის საგანიც იყო ზემოხსენებული სალექციო ციკლის ჩატარება თბილისსა და რეგიონებში.³

საჯარო ლექციების ჩატარების თაობაზე ცენტრის შეთავაზება სამინისტროში 2019 წლის 3 ივნისს დარეგისტრირდა და ამ უკანასკნელმა იმავე დღეს გამოხატა თანხმობა გარიგების დადებაზე.⁴ სამინისტროსთან, ლექციების ჩატარებამდე, შეთანხმებულ იქნა იმ პირების ვინაობა, რომლებიც ციკლის ფარგლებში სალექციო კურსს უძღვებოდნენ.⁵

სამინისტრომ საჯარო ლექციების გამართვის ადგილისა და დროის შესახებ ინფორმაცია საგანმანათლებლო რესურსცენტრებს სატელეფონო კომუნიკაციის გზით მიაწოდა.⁶ ერთ-ერთმა საგანმანათლებლო რესურსცენტრმა თავის სამოქმედო ტერიტორიაზე მოქმედი საჯარო სკოლების ადმინისტრაციებს სალექციო კურსის ჩატარების შესახებ ინფორმაცია ასევე სატელეფონო კომუნიკაციის საშუალებით მიაწოდა.⁷ აღნიშნულის შედეგად, ლექციების შესახებ გავრცელებული ინფორმაცია არაერთგვაროვანი იყო.

ზოგიერთი საჯარო სკოლისა და რესურსცენტრის ოფიციალური თანამდებობის პირებისაგან პედაგოგებმა 2019 წლის ივნისში ჩასატარებელ ერთ-ერთ ლექციაზე დასწრების თაობაზე მიიღეს ინფორმაცია შემდეგი სიტყვებით: „*რესურსცენტრის მოთხოვნით უნდა დაესწროთ*“, „*აუცილებელია, რადგან მინისტრთან შეხვედრა იმართება*“, „*სამინისტროს დავალებით წამოგიყვანეთ*“.⁸

² იქვე.

³ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2019 წლის 01 ივლისის MES 11900881834 წერილის დანართი: 2019 წლის 03 ივნისის ხელშეკრულება N06-75/2/-1, პუნქტი 2.

⁴ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსის 03 ივნისის MES 61900692974 სამსახურებრივი ბარათი.

⁵ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2019 წლის 07 აგვისტოს MES 41901026880 წერილის დანართი: საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან არსებული ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის წერილი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრს.

⁶ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2019 წლის 01 ივლისის MES 11900881834 წერილი.

⁷ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ტერიტორიული ორგანო - ქალაქ წალკის საგანმანათლებლო რესურსცენტრის 2019 წლის 26 ივნისის MES 2 19 00856905 წერილი.

⁸ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2019 წლის 17 ივნისის ოქმი N3998-11-20. ასევე, 2019 წლის 25 ივლისის N 5708-17-1 მოხსენებითი ბარათის დანართი.

დაგეგმილი სალექციო ციკლის ფარგლებში, 2019 წლის ივნისში ჩატარებულ ზემოაღნიშნულ ლექციას ესწრებოდნენ საჯარო სკოლების სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობის მქონე პედაგოგები.

სახალხო დამცველის აპარატისთვის სხვადასხვა წყაროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, აღნიშნული ლექცია ძირითადად რელიგიის ქადაგების რეჟიმში წარიმართა, სადაც ლექტორმა გააჟღერა შემდეგი ფრაზები: „ერთადერთი ჭეშმარიტი გზა მართლმადიდებლობაა, სხვა რელიგიის აღმსარებლები ჯოჯოხეთში მოხვდებიან“, „თუ ქრისტიანი არ ხარ, შენი განათლება არაფრად ფასობს“⁹ მან ასევე მიუთითა საგაკვეთილო პროცესში ლოცვითი პრაქტიკის დანერგვის აუცილებლობაზეც და განმარტა რომ „სკოლამ ღმერთთან უნდა მიიყვანოს მოსწავლე“.¹⁰

2019 წლის 3 ივნისის N06-75/2/-1 ხელშეკრულებით ცენტრის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლს სამინისტროს საგანმანათლებლო რესურსცენტრების თანამშრომლები უშუალოდ ლექციის ჩატარების ადგილზე ახორციელებდნენ.¹¹

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა 2019 წლის 19 ივლისის N17-1/8218 წერილით სამინისტროსგან მოითხოვა იმ ფაქტობრივი გარემოებების დასახელება, რომლის საფუძველზეც ცენტრი შერჩეულ იქნა მომსახურების ხელშეკრულების მხარედ. სამინისტროს 2019 წლის 7 აგვისტოს MES 41901026880 პასუხით, აღნიშნულ საკითხზე ინფორმაცია არ მოუწოდებია.

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა 2019 წლის 20 ივნისის N 17-1/6864 წერილით მიმართა საქართველოს მთავრობას და ითხოვა ხსენებულ სალექციო ციკლში საჯარო სკოლების პედაგოგთა მონაწილეებად განსაზღვრის მიზნობრიობის განმარტება. კორესპონდენცია სამინისტროს გადაეცა განსახილველად, 2019 წლის 01 ივლისის MES 11900881834 წერილით, სამინისტროს ზემოაღნიშნულ საკითხზე ინფორმაცია არ წარმოუდგენია.¹²

სამართლებრივი შეფასება:

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, რელიგიური პლურალიზმის უზრუნველყოფისთვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მიერ სხვადასხვა რელიგიებთან მიმართებით ნეიტრალობისა და მიუკერძოებლობის დაცვის ვალდებულება.¹³

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „[საქართველოს კონსტიტუცია] აღიარებს საქართველოს საპატრიარქოს დამოუკიდებლობას სახელმწიფოსაგან, რითაც განამტკიცებს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის სეკულარიზმსა და ურთიერთ საქმეებში ჩაურევლობას. შესაბამისად, კონსტიტუცია მიზნად ისახავს, სახელმწიფო ორგანოების ფუნქციონალურ გამოიჯნას რელიგიური დაწესებულებების საქმიანობიდან“.¹⁴

ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნების მიღწევის უზრუნველსაყოფად გარანტირებულია რელიგიური გაერთიანებებისგან საჯარო სკოლის

⁹ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2019 წლის 17 ივნისის ოქმი N3998-11-20. ასევე, 2019 წლის 25 ივლისის N 5708-17-1 მოხსენებითი ბარათის დანართი.

¹⁰ იქვე.

¹¹ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2019 წლის 07 აგვისტოს MES 41901026880 წერილი.

¹² საქართველოს მთავრობის 2019 წლის 21 ივნისის GOV 9 19 00025420 წერილი.

¹³ *Overview of the Court's Case-Law on Freedom of Religion*, European Court of Human Rights, Research Division, 2013 p. 7.

¹⁴ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 26 თებერვლის N618/1/1 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - გიორგი კვეცნაძე, ნინო კვეცნაძე და ბესიკი გვენეტაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

დამოუკიდებლობა.¹⁵ აღნიშნული ნორმა ზოგადი განათლების სფეროში განამტკიცებს სეკულარიზმის კონსტიტუციურ პრინციპს.¹⁶ მისი მიზანია რელიგიური გაერთიანებებისა და სახელმწიფოს ფუნქციური, მკაფიო გამიჯვნა, რაც კრიტიკულად აუცილებელია დემოკრატიული საზოგადოების არსებობისთვის.

ამასთან, ზოგადი განათლების სახელმწიფო პოლიტიკის მიზნები მიმართულია მოსწავლის სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებისკენ.¹⁷ ამდენად, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ხსენებული მიზნების მისაღწევად, რელიგიური გაერთიანებებისა და საჯარო სკოლების კანონისმიერი გამიჯვნის პრინციპი, სეკულარიზმის ზოგადი ვალდებულებიდან გამომდინარე, ფართოდ უნდა განიმარტოს.

სასკოლო სივრცეში მოსწავლეებისთვის განათლების მიცემისას რელიგიური ნეიტრალიტეტის მნიშვნელობას ევროპულმა სასამართლომ განათლების უფლების ძირითადი პრინციპების განსაზღვრისას გაუსვა ხაზი და დაადგინა:

„განათლების სფეროში თავისი ფუნქციების განხორციელებისას, სახელმწიფო ვალდებულია იზრუნოს, რომ კურსკულუმში შემავალი ინფორმაციის მოსწავლეებისათვის გადაცემა მოხდეს ობიექტური, კრიტიკული და პლურალისტური გზით, რაც მათ საშუალებას მისცემს განივიტარონ კრიტიკული აზროვნება[...]. მშვიდ, ყველანაირი პროზელიტიზმისგან დაცლილ ატმოსფეროში. სახელმწიფოს ასევე ეკრძალება, სასკოლო განათლების სფეროში ინდოქტრინაციის მიზნით ქმედებების განხორციელება[...].“¹⁸

შესაფასებელ ლექციაზე გაჟღერებულ შინაარსთან მიმართებით აღსანიშნავია, რომ ლექციას ესწრებოდნენ სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობის პედაგოგები. ხოლო, ფრაზები/მოსაზრებები, რომლითაც ავტორი ავრცელებდა კონკრეტულ რელიგიას და დარბაზს არწმუნებდა მის სისწორეში, მიმართული იყო ყველა დამსწრისადმი. თუ გავითვალისწინებთ, რომ ლექციას ესწრებოდნენ საჯარო სკოლის მასწავლებლები, ცხადი ხდება, რომ ლექტორის მიერ გაჟღერებული შინაარსი უშუალო ზეგავლენას ახდენს ზოგადი განათლების სისტემაზე და შეიცავს რელიგიური სწავლების სკოლებში დანერგვის მნიშვნელოვან რისკს.

ნათელია, რომ ინსტიტუციურად საჯარო სკოლისკენ მიმართული არასეკულარული ღონისძიება ახალისებს სასკოლო სივრცის აფილაციას კონკრეტული რელიგიური ჯგუფისადმი. საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფომ მხოლოდ ნეიტრალური, სეკულარული, იდეოლოგიურად თავისუფალი მომსახურება, მასალები და აღჭურვილობა უნდა შესთავაზოს საჯარო სკოლებს.¹⁹

აღსანიშნავია, რომ მოცემული ლექციის ცენტრის მიერ ჩატარება შეუძლებელი იქნებოდა სახელმწიფოს მიერ გამოვლენილი ნების გარეშე. სამინისტროდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, მათ ჰქონდათ წინასწარ ინფორმაცია იმ ლექტორების ვინაობის თაობაზე ვინც ლექციებს

¹⁵ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, მიღებული 2005 წლის 08 აპრილს, 2019 წლის 19 აპრილის მდგომარეობით მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

¹⁶ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 26 თებერვლის N618/1/1 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - გიორგი კვეკელია, ნინო კვეტენაძე და ბესიკი გვენეტაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

¹⁷ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი, მიღებული 2005 წლის 08 აპრილს, 2019 წლის 19 აპრილის მდგომარეობით მე-3 მუხლის პირველი პუნქტი.

¹⁸ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2011 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე LAUTSI AND OTHERS v. ITALY, პარ. 62.

¹⁹ Lemon v. Kurtzman, 403 U.S. 602 (1970). პარ. 3.

ჩატარებდნენ.²⁰ ხოლო, საგანმანათლებლო რესურსცენტრების თანამშრომლები უშუალოდ შეხვედრების გამართვის ადგილებზე ახდენდნენ ვალდებულების შესრულების კონტროლს.²¹ ამასთან, რესურსცენტრების მიერ საჯარო სკოლის მასწავლებლების მოწვევა ლექციათა ციკლში მონაწილეობის მისაღებად, სატელეფონო კომუნიკაციით მოხდა, რამაც თავის მხრივ ინფორმაციის მიწოდებისა და გავრცელების არაერთგვაროვნება გამოიწვია და ლექციაზე დასწრება მასწავლებელთა მხრიდან აღქმული იყო როგორც სავალდებულო აქტივობა.²²

მიუხედავად სახალხო დამცველის აპარატის მოთხოვნისა, სამინისტროს არ განუმარტავს, თუ რა ფაქტორების გათვალისწინებით შეაჩერა არჩევანი ცენტრზე.²³ ცხადია, მნიშვნელოვანი იქნებოდა სამინისტროს განმარტება იმ გარემოებების თაობაზე, რომელთა გამოც ხსენებულ ცენტრთან ხელშეკრულების დადება ყველაზე მისაღებ გადაწყვეტილებად იქნა მიჩნეული.²⁴

გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული ლექცია ჩატარდა მთავრობის განკარგულების საფუძველზე, რაც მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისათვის შესაბამისი წესით აკრედიტებულ ტრენინგად არ შეიძლება იქნეს მიჩნეული. ამ კონტექსტში, მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ 2018 წელს ჩატარებული კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ გამოკითხული მასწავლებლების 48%-ს მონაწილეობა არ აქვს მიღებული ადამიანის უფლებების შესახებ ან ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ ტრენინგში.²⁵ კვლევის შედეგების მიხედვით, ადამიანის უფლებათა საკითხებზე მასწავლებელთა ინფორმირებულობის დონე საკმაოდ დაბალია.²⁶

ამასთან, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის მიერ 2016 წელს ჩატარებული კვლევის მიხედვით: „[სკოლაში]...*რელიგიური ნეიტრალიტეტის დარღვევის შემთხვევები, უმეტესად, გამოიხატება სკოლის მასწავლებლების მხრიდან საგაკვეთილო პროცესში რელიგიური ქადაგებისა და ღვთისმსახურების პრაქტიკების (ლოცვა გაკვეთილის დაწყების წინ, საეკლესიო გალობა) რეგულარულ განხორციელებაში. რესპონდენტები განსაკუთრებით ხაზს უსვამენ ამ კუთხით ქართული ენისა და ლიტერატურის, ისტორიისა და ასევე მუსიკის მასწავლებლების აქტიურ როლს*“.²⁷

სახალხო დამცველის შეფასებით, მასწავლებელთა მხრიდან უშუალოდ საგაკვეთილო პროცესში რელიგიური ინდოქტრინაციისა და პროზელიტიზმის გამოყენებისათვის საქართველოში საკმაოდ ნაყოფიერი ნიადაგია შექმნილი. ლექციათა ციკლის ჩატარება, სადაც გაისმის მოწოდებები

²⁰ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2019 წლის 07 აგვისტოს MES 41901026880 წერილის დანართი: საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასთან არსებული ქრისტიანული კვლევის საერთაშორისო ცენტრის წერილი საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრს.

²¹ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2019 წლის 07 აგვისტოს MES 41901026880 წერილი.

²² საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2019 წლის 17 ივნისის ოქმი N3998-11-20. ასევე, 2019 წლის 25 ივლისის N 5708-17-1 მოხსენებითი ბარათის დანართი.

²³ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის 2019 წლის 19 ივლისის წერილი N 17-1/8218. ასევე, იხ. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2019 წლის 07 აგვისტოს წერილი MES 41901026880.

²⁴ ამასთან დაკავშირებით, ასევე იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 04 აპრილის განჩინება საქმეზე N ბს-369(კ-19).

²⁵ საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის კვლევა “ადამიანის უფლებების სწავლებისა და სასწავლო გარემოს შესახებ ზოგად საგანმანათლებლო სივრცეში”, თბილისი 2018 გვ. 35.

²⁶ იქვე, გვ. 34.

²⁷ ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის კვლევა “რელიგიის თავისუფლება, სახელმწიფოს დისკრიმინაციული და არასეკულარული პოლიტიკის კრიტიკა“, თბილისი 2016, გვ. 145.

საგაკვეთილო პროცესი ეყრდნობოდას ლოცვით პრაქტიკას, აღნიშნულ რისკს საგრძნობლად ზრდის.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ შესაფასებელი ლექციის ორგანიზებასა და ჩატარებაში სახელმწიფოს მონაწილეობის ხარისხი ძალიან ინტენსიურია. საქმეზე დადგენილი ფაქტების ერთობლივი ანალიზით კი ვლინდება სამინისტროს არასათანადო გულმოდგინება ზოგადი განათლების სისტემის რელიგიური ნეიტრალიზების უზრუნველყოფის კუთხით.

დასკვნა

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ საჯარო სკოლების პედაგოგებისთვის ჩატარებული საჯარო ლექციების ციკლი თემაზე: „რელიგიის ისტორია“ არ შეესაბამებოდა საჯარო სკოლების რელიგიური გაერთიანებებისგან გამიჯვნის კანონისმიერ პრინციპს.

ლექციათა ციკლის ორგანიზებისა და ჩატარების პროცესი სახელმწიფოს მიერ კონფესიური ფუნქციების შეთავსების სერიოზულ ნიშნებს შეიცავს, რაც საფრთხეს უქმნის საჯარო სკოლის რელიგიურ ნეიტრალიტეტს და მნიშვნელოვნად ზრდის პროზელიტიზმისა და ინდოქტრინაციის რისკს სასკოლო სივრცეში.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, მოგმართავთ წინადადებით:

საქართველოს მთავრობას

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს

- უზრუნველყოთ საჯარო სკოლების მასწავლებლებისთვის გამიზნული სასწავლო ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება სეკულარიზმის პრინციპზე დაფუძნებით და მიიღოთ ყველა ეფექტიანი ზომა საჯარო სკოლების რელიგიური ნეიტრალიტეტის დასაცავად.

გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი წინადადება და პასუხი მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით განსაზღვრულ ვადაში.

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია



სახალხო დამცველი

